



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### გიგაური გიორგი ნიკოლოზის ძე



გიგაური გიორგი ნიკოლოზის ძე (23. XI. 1924, დაბა ყაზბეგი, – 2009, თბილისი), მეტყვევ-ინჟინერი. საქართველო. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1993; წ.-კორ. 1988), საქართველო. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1990). სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (1973).

#### გ. გიგაური

1948 დაამთავრა საქართველო. სას.-სამ. ინ-ტი (ახლანდ. აგრ. უნ-ტი). 1954-იდან პედ. საქმიანობას ეწეოდა იქვე (1978-იდან – პროფესორი). 1970 – 80 საქართველო. სატყეო მეურნ. მინისტრის პირველი მოადგილე, 1980-იდან იყო საქართველო. ვ. გულისაშვილის სახ. სამთო-მეტყვევების სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. შეისწავლა საქართველო. ტყეების წარმოშობის, ზრდის, განვითარებისა და ფორმირების კანონზომიერებანი. გამოიკვლია მთის ტყეების ტაქსაციისა და მონყობის თავისებურებანი. შეიმუშავა საქართველო. ტყეების ეკონ. დარაიონების სქემა. დაადგინა მთის ტყეების (წიფელი, სოჭი, ნაძვი, ფიჭვი და სხვ.) ჭრის ოპტიმალური ხნოვანება, სიმწიფის ბლვრები და ამორჩევითი მეურნ. პირობებში მერქნით სარგებლობის ყოველწლიური ოდენობის განსაზღვრის პრინციპები. ავტორია მონოგრაფიული ნაშრომებისა მეტყვევების, ტყეთმონყობისა და ტაქსაციის დარგში, აგრეთვე სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოსი ტყეთმონყობაში. გ. არის საქართველო. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბზ.: საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა, თბ., 1960; ტყეთმონცობის პრაქტიკუმი, თბ., 1963; საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძლოლის საფუძვლები, თბ., 1980 (თანაავტ.); Горные леса, М., 1979; Сосновые леса Кавказа, Тб., 1987 (თანაავტ.).

---